



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №025/13

1. ფაქტები

ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ იქნა შედგენილი შესაგებელი, რომელზეც ნ. ბ-ის (საჩივრის ავტორის) მამის, გ. ბ-ის ნაცვლად მან მოაწერა ხელი.

2. პროცესუალური ისტორია

2013 წლის 19 მარტს ნ. ბ-მ საჩივრით მიმართა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ.ბ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ. ბ-ის მიმართ და მიუთითა, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ.ბ-მა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას გამოიყენა არაკანონიერი საშუალება შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ მისთვის დადგენილი ვალდებულება კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით? (კანონიერების პრინციპი). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ბ-მა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ლ. ბ-ს 2013 წლის 08 იანვრის შესაგებებელზე გ. ბ-ის სახელით შესრულებული აქვს ხელმოწერა იმ დროს, როდესაც მასზე გაცემული არ იყო ამ პირის მიერ მინდობილობა და ასეთი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც, ის ვალდებული იყო ხელმოწერა შეესრულებინა არა მარწმუნებლის სახელით, არამედ თავისი სახელით, როგორც მისი რწმუნებული პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა, რის გამოც ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მხრიდან ადგილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ სხვა პირის ნაცვლად მათი სახელით ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობის შემთხვევაშიც.

კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ შესაგებებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით ხელმოწერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
იურიდიული ეთიკის მიმართულება
© მიხეილ რეხვიაშვილი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

NEW VISION
UNIVERSITY

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო სფეროში. ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ განხორციელებული ქმედება, კლიენტთა ნაცვლად შესაგებებლზე ხელმოწერა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დეფინიციას. ადვოკატმა დაარღვია კანონიერების პრინციპი.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.